ႩႤႧႨ ႫႭႡႰႻႠႬႤႡႠ

ႰႤႢႨႭႬႨ ႫႺႾႤႧႠ-ႫႧႨႠႬႤႧႨ



ᲛᲪᲮᲔᲗᲘᲡ ᲢᲣᲠᲘᲖᲛᲘᲡ ᲡᲐᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲝ ᲪᲔᲜᲢᲠᲘ
ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘ: ᲐᲠᲡᲣᲙᲘᲫᲘᲡ ᲥᲣᲩᲐ 3
ᲢᲔᲚ: (+995 32) 251 21 28
ᲔᲚ-ᲤᲝᲡᲢᲐ: ticmtskheta@gmail.com
ᲡᲐᲛᲣᲨᲐᲝ ᲓᲦᲔᲔᲑᲘ: ᲧᲝᲕᲔᲚᲓᲦᲔ
ᲡᲐᲛᲣᲨᲐᲝ ᲡᲐᲐᲗᲔᲑᲘ: 10:00 – 18:00
(ᲖᲐᲤᲮᲣᲚᲘ – 09:00 – 18:00)

ᲣᲤᲐᲡᲝ ᲪᲮᲔᲚᲘ ᲮᲐᲖᲘ (24/7)
0 800 800 909
ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲢᲣᲠᲘᲖᲛᲘᲡ ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲐᲓᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲐᲪᲘᲐ
ᲛᲘᲡ:ᲡᲐᲜᲐᲞᲘᲠᲝᲡ ᲥᲣᲩᲐ 4, 0105, ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ, ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ
ᲢᲔᲚ: (+995 32)2436999
ᲔᲚ-ᲤᲝᲡᲢᲐ: info@gnta.ge
georgia.travel
www.fb.com/GeorgiaAndTravel

ᲐᲠᲐᲙᲝᲛᲔᲠᲪᲘᲣᲚᲘ ᲛᲘᲖᲜᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲓᲐᲛᲖᲐᲓᲔᲑᲣᲚᲘᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ 2017

ᲛᲪᲮᲔᲗᲐ-ᲛᲗᲘᲐᲜᲔᲗᲘᲡ ᲠᲔᲒᲘᲝᲜᲘ

ჩრდილოეთით ესაზღვრება რუსეთის ფედერაციის რესპუბლიკებს: ჩრდილოეთ ოსეთს, ინგუშეთსა და ჩეჩნეთს, დანარჩენი მოსაზღვრე რეგიონები: კახეთი და შიდა ქართლი – საქართველოს რეგიონებია. მცხეთა-მთიანეთის ტერიტორია 6.8 ათასი კვ. კმ-ია, რაც საქართველოს ტერიტორიის თითქმის 10%-ს შეადგენს. მოსახლეობა 125 ათასი კაცია და წარმოადგენს ქვეყნის მოსახლეობის 3.2%-ს.

მცხეთა-მთიანეთი 5 ადმინისტრაციული ერთეულისგან შედგება: ახალგორის, დუშეთის, თიანეთის, მცხეთისა და ყაზბეგის რაიონები. ხოლო ისტორიულ-გეოგრაფიული თვალსაზრისით იგი მოიცავს: ხევის, ერწო-თიანეთის, ფშავის, ხევსურეთის, მთიულეთის, გუდამაყრისა და ნაწილობრივ ქსნისხევის ისტორიულ პროვინციებს.

ᲒᲔᲝᲒᲠᲐᲤᲘᲐ



მცხეთა-მთიანეთი საქართველოს ერთ-ერთი უმშვენიერესი და მრავალფეროვანი მხარეა. აქ ერთმანეთის გვერდი-გვერდაა კავკასიონის მთავარი ქედის თოვლიანი მთები 3500 მ-ის და 5000 მ-ის მწვერვალებითა და უღელტეხილებით,ულამაზესი ხეობები,იქ ჩაკარგული ტბები და ალპური ველ-მინდვრები. საოცრად ლამაზია ხევისა და ხევსურეთის კავკასიონი. იგი ციცაბო ფერდობებით ეშვება არაგვის ვაკეზე და განუმეორებელ პეიზაჟს ქმნის. კავკასიონის ქედზე არსებული რამდენიმე უღელტეხილიდან ერთ-ერთი – ჯვრის უღელტეხილით, რომელიც განუმეორებელი სილამაზის საქართველოს სამხედრო გზაზე მდებარეობს, საქართველო ისტორიულად ჩრდილოეთ კავკასიას უკავშირდებოდა. საქართველოს ეს უმშვენიერესი პროვინცია აღწერილი აქვთ, როგორც გამოჩენილ ქართველ პოეტებსა და მწერლებს ისე მრავალ უცხოელ მოგზაურს.

ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲐ

მცხეთა არა მხოლოდ საქართველოს უძველესი დედაქალაქი იყო, არამედ მისგან დაიწყო ქართული ცივილიზაციის ისტორია. მცხეთისა და „დიდი მცხეთის“ ტერიტორია დასახლებული იყო ადრინდელი და შუა ბრინჯაოს ხანაში (ძვ. წ. III—II ათასწლეული). გვიანდელი ბრინჯაოსა და ადრინდელი რკინის ხანაში (ძვ. წ. II—I ათასწლეული) იგი მჭიდროდაა დასახლებული (სამთავროს, ზემო ავჭალის, წიწამურის, ნარეკვავის, წეროვნის, ნაბაღრევის სამაროვანი და ნამოსახლარები). ბრინჯაო-რკინის ხანაში მოსახლობათა ურთიერთობა კავკასიის ცივილიზაციის სინქრონულ კერებთან სამთავროს მეშვეობით ხორციელდებოდა. ძვ. წ. IV საუკუნის ბოლოდან მცხეთა ახლად წარმოქმნილი ქართლის (იბერიის) სამეფოს პოლიტიკური ცენტრია. ქალაქის დაწინაურებასა და განვითარებას ხელს უწყობდა ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობა — აქ გადიოდა საერთაშორისო სავაჭრო გზები, რომლებიც მდინარეების არაგვისა მტკვრის გაყოლებით მიემართებოდა.

მცხეთა იყო საქართველოში ქრისტიანობის გავრცელების აკვანი და ქრისტიანული რელიგიის ცენტრი მე-12 საუკუნემდე. მცხეთა-მთიანეთის რეგიონი, როგორც სასაზღვრო ზოლი, რომელიც უმკაცრესი პირობების მიუხედავად იცავდა ქვეყნის ჩრდილოეთ საზღვრებს, დღემდე რჩება საუკუნეებით ჩამოყალიბებული ადათ-წესების დამცველად. მთელი რიგი პროვინციები: ხევი, პირიქითა ხევსურეთი მკაცრი ბუნებრივი პირობების გამო წელიწადის უმკაცრეს ზამთრის თვეებში მოწყვეტილია დანარჩენ საქართველოს. აქედან გამომდინარე, უაღრესად მნიშვნელოვანია ის გმირობა, რომლითაც გამოირჩეოდა ამ პროვინციების მოსახლეობა, მათ მიერ გადატანილი ბრძოლები და შესრულებული როლი საქართველოს ჩრდილოეთის საზღვრების დასაცავად.

ᲰᲐᲕᲐ

მცხეთა-მთიანეთის რეგიონის დაბლობ ნაწილში ჰავა ზომიერად ნოტიოა. იცის ზომიერად ცივი ზამთარი და ხანგრძლივი, თბილი ზაფხული. საშუალო წლიური ტემპერატურა 11°C, იანვარში კი - 0°C -ზე დაბალია; დაფიქსირებულია აბსოლიტური მინიმალური -30 ჩ, აბსოლიტური მაქსიმალური +39°C. მთაში ნამდვილ ზაფხულს მოკლებული მაღალმთის ზომიერად ნოტიო ჰავაა, ხოლო 3300-3400 მ. ზემოთ - მაღალმთის ჰავა ჭარბი თოვლითა და მყინვარებით. საშუალო წლიური ტემპერატურა 2350 მ სიმაღლეზე 0°C-მდეა, ხოლო ზემოთ - მნიშვნელოვნად დაბალი. ნალექების მაქსიმუმი გაზაფხულობით, მაისში მოდის. ზამთრობით თოვლი თითქმის მთელ რეგიონში დევს, თოვლის საბურველის სიმაღლე დაბალ ზონაში უმნიშვნელოა, მაღალმთიან ნაწილში კი ცალკეულ წლებში 3,5 მ. აღწევს. ყაზბეგის რაიონში 2600-36000 მ. სიმაღლის ზონაში ნამდვილი ზაფხული არასდროს დგება. 3600 მ-ზე მაღლა მუდმივი თოვლი და მყინვარებია, ნალექები უმეტესად თოვლის სახით მოდის. ნალექები: 650-1000 მმ წელიწადში. მდგრადი თოვლის საბურველის ხანგრძლივობა 5-7 თვე.

ᲛᲪᲮᲔᲗᲐ

საქართველოს უძველესი დედაქალაქი, ამჟამად მცხეთა-მთიანეთის რეგიონის ადმინისტრაციული ცენტრია. ეს ულამაზესი, ისტორიული ძეგლებით გაჯერებული, პატარა დასახლება (10 ათასამდე მცხოვრები) შეტანილია იუნესკოს მსოფლიო მემკვიდრეობის ნუსხაში, როგორც ქალაქი-მუზეუმი. ცხადია, რომ მცხეთა, როგორც კულტურული ტურიზმის ცენტრი საქართველოს ერთერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ატრაქციაა. მცხეთას გააჩნია უაღრესად ხელსაყრელი მდებარეობა, იგი მხოლოდ 20 კილომეტრითაა საქართველოს დედაქალაქ თბილისიდან დაშორებული.







ᲙᲣᲠᲝᲠᲢᲘ ᲒᲣᲓᲐᲣᲠᲘ

გუდაური მდებარეობს კავკასიონის მთავარ ქედზე, საქართველოს სამხედრო გზაზე, ჯვრის უღელტეხილის მახლობლად, თბილისიდან 120 კმ. დაშორებით. მცირეთოვლობის დროსაც კი გუდაურში გარანტირებულია თოვლის მდგრადი საფარი ნოემბრიდან მაისამდე. მისი საშუალო სიმაღლე ფერდობზე 1.5 მეტრს აღწევს. მიუხედავად იმისა, რომ გუდაური ზღვის დონიდან 2000 მეტრის სიმაღლეზე მდებარეობს, მისთვის მაინც დამახასიათებელია თბილი, მზიანი და წყნარი ამინდები.





გუდაურის ფერდობები ამოუწურავ შესაძლებლობებს სთავაზობს ყველა კატეგორიის მოთხილამურეს. სასრიალო ბილიკების დახრილობა უდიდეს სიამოვნებას იწვევს როგორც დამწყები, ისე პროფესიონალი მოთხილამურეებისა და სნოუბორდისტებისათვის. პროფესიონალ მოთხილამურეთათვის გუდაურის ფერდობებს გააჩნია ოთხივე სპორტული სასრიალო ბილიკი: სლალომი, სლალომი-გიგანტი, სუპერ გიგანტი და ჩქაროსნული დაშვება. ყველა სასრიალო ბილიკი დამტკიცებულია FIS-ის მიერ. დასამუშავებელი სამთოსათხილამურე სასრიალო ბილიკის საერთო სიგრძე შეადგენს 16 კმ.-ს.

გუდაური უაღრესად მიმზიდველია ზაფხულშიც. იგი დამსვენებლებს შემდეგი ტიპის ტურიზმის სახეობებს სთავაზობს: ლაშქრობა თრუსოსა და ხადას ხეობებში, ცხენით გასეირნება, ფრინველებზე დაკვირვება, წყალჯომარდობა მდინარე არაგვზე. გუდაურში ფუნქციონირებს რვა სასტუმრო. ოთხი სასტუმრო სახლი, სამი საოჯახო სასტუმროა 669 ადგილზე.

ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲣᲚᲘ ᲛᲔᲛᲙᲕᲘᲓᲠᲔᲝᲑᲐ



ᲡᲕᲔᲢᲘᲪᲮᲝᲕᲔᲚᲘ

სვეტიცხოვლის საკათედრო ტაძარი მდებარეობს მცხეთაში, თბილისიდან 20 კმ-ზე. საქართველოში 337 წელს ქრისტიანობა სახელმწიფო რელიგიად გამოცხადდა, პირველ ქრისტიან მეფეს მირიანს ნინო განმანათებლის რჩევით, განუზრახავს ტაძრის აგება იქ, სადაც დაკძალული იყო კვართი უფლისა. მოუჭრიათ საფლავზე ამოსული ლიბანის კედარი და მისგან შვიდი სვეტი გამოუთლიათ. ექვსი სვეტი აღუმართავთ, მეშვიდე კი - ყველაზე დიდი და გაბრწყინებული მიწას არ მიჰკარებია, ჰაერში ჩამოკიდულა, ანათებდა, გამოსცემდა სურნელს, ხოლო ძირიდან წარმოსდინდებოდა მირონი, რომელიც ყველა სენს კურნავდა. სწორედ ეს იყო “სვეტი ცხოველი” - სიცოცხლის მომნიჭებელი სვეტი, რომელის სახელიც ეწოდა ტაძარს. შემდეგში ამ პირველი, ხის ეკლესიის ადგილას V ს-ის ბოლოს ვახტანგ გორგასალმა ააშენა ბაზილიკური ტიპის ქვის დიდი ეკლესია, 1010 - 1029 წლებში კი კათალიკოს მელქისედეკის თაოსნობით ხუროთმოძღვარმა არსუკიძემ ააგო ახლანდელი დიდი სვეტიცხოველი. ლეგენდის მიხედვით, რადგან სვეტიცხოველის მშენებელს მასწავლებლისათვის უჯობნია და თანაც მეფე გიორგის რჩეული ქალი შეყვარებია, მისთვის ხელი მოუკვეთავთ. ლეგენდა არ დასტურდება, რადგან არსუკიძე პატივით დაუკრძალავთ სვეტიცხოველში.

სვეტიცხოველი ყველაზე დიდი და სათაყვანებელი საეკლესიო ნაგებობაა საქართველოში. იგი საქართველოს საეკლესიო ცენტრია. გეგმაში წარმოადგენს ჯვარს მოკლე განივი მკლავებით და გრძივი ჭრილებით. აღმოსავლეთის მკლავი თავდება აფსიდით. გუმბათი ოთხ მძლავრ ბოძს ეყრდნობა. გუმბათის ყელში 16 სარკმელია. ძველი ფრესკების უმეტესობა აღარაა შემორჩენილი. მოღწეული ჩუქურთმები მდიდარი და მრავალფეროვანია. სუფთად ნათალი ქვებით მოპირკეთებული ფასადები მდიდრულადაა მორთული. ტაძრის შიგნით, გუმბათის მახლობლად სვეტებზე დაყრდნობილი კოშკისებური ნაგებობა - ეს არის საკუთრივ “სვეტიცხოველი”. აქ ინახებოდა სასწაულმოქმედი სვეტის ნაწილი, რომლის ქვეშაც მარხია კვართი უფლისა. სამხრეთ მხარეს, შესასვლელიდან მადჯვნივ ქვის პატარა სამლოცველო იერუსალიმის ტაძრის გამოსახულებაა. გალავანი 1787 წელს აუგიათ ერეკლე II - ის ბრძანებით. დასავლეთით მოთავსებულია სამრეკლო და XI ს-ის კარიბჭე - არქიტექტურის შესანიშნავი ნიმუში.

13 საუკუნის მანძილზე ანადგურებდნენ ტაძარს მტრები: აბულ-ყასიმი, ალფ-არსლანი, თემურ-ლენგი, შაჰ-თამაზი, შაჰ-აბაზი და სხვები. მრავალჯერ გადაკეთდა და ამიტომ მისი პირველსახე რამდენადმე შეიცვალა.საუკუნეების განმავლობაში ტაძარი იყო მეფეთა საძვალეც. აქ არიან დასაფლავებული: ვახტანგ გორგასალი, ერეკლე II, საქართველოს უკანასკნელი მეფე გიორგი XII და სხვა დიდებულები.

ᲛᲪᲮᲔᲗᲘᲡ ᲯᲕᲐᲠᲘ

ქართული არქიტექტურის ერთ-ერთი შესანიშნავი ძეგლი - დგას მცხეთასთან,მთის წვერზე,მდინარეების: მტკვრისა და არაგვის შესართავთან. ქრისტიანობის მიღებისთანვე ამ ადგილას მეფე მირიანმა ხის (ვაზის) მაღალი ჯვარი აღმართა, რომელსაც თაყვანს სცემდნენ კავკასიის სხვა ქრისტიანი ერებიც. ქართლის ერისმთავარმა გუარამმა ჯვრის გვერდით პატარა ეკლესია ააშენა, რომელსაც დღეს “მცირე ჯვარს” უწოდებენ. იგი სიმცირისგამო მლოცველებს ვერ იტევდა, რის გამოც 586/7 – 604 წლებში გუარამის ძემ - ერისმთავარმა სტეფანოზ I -მა მცირე ტაძრის გვერდით ააგო დიდი ტაძარი - დღევანდელი ჯვარი, რომელიც ზედ გადაეხურა ხის ჯვარს (ჯვრის კვარცხლბეკი დღემდეა შემორჩენილი).

ტაძარი გეგმაში წარმოადგენს რამდენადმე წაგრძელებულ ჯვარს, რომლის მკლავები მთავრდება აფსიდებით. შენობის ბირთვს შეადგენს კვარდატი, რომლის თავზეც აღმართულია 8-წახნაგოვან ყელზე დამყარებული გუმბათი. ძველი და ახალი ეკლესიები შემდეგში გაერთიანდა შემაერთებელი კარიბჭით. შენობა დიდი არ არის (მისი ზომებია 22 მ X 19 მ, სიმაღლე 25 მ), მაგრამ იგი მონუმენტურ შთაბეჭდილებას ტოვებს. ფასადი მოპირკეთებულია მოვარდისფრო - ქვიშისფერი თლილი ქვით. მცხეთის ჯვარი პირველი ნიმუშია ჯვრული ტიპის ეკლესიებისა. იგი ხუროთმოძღვრების სკულპტურული მორთვის ახალ საფეხურს წარმოადგენს. ფიგურული რელიეფების განლაგება ღრმად გააზრებულ სისტემას ექვემდებარება. პირველი მაგალითია შუა საუკუნეების ქართულ ხუროთმოძღვრებაში, რომ ფასადის სახე დამოუკიდებელი, შეგნებულად დასახული, მხატვრული ამოცანის მნიშვნელობას იძენს. შემდეგში ეს ქართული არქიტექტურის დამახასიათებელ ნიშნად იქცევა. მონასტრის გარშემო არსებული სხვა ნაგებობები (კოშკი, გალავანი) უფრო გვიანდელია. მონასტრის კედლის ნახატებში გამოსახულია როგორც რელიგიური ისე ისტორიული პირებიც. არის ძველი წარწერებიც. საქართველოში არ არსებობს ნივთიერი კულტურის სხვა ასეთი პოპულარული ძეგლი. უამრავი საკულტო ნაგებობა, როგორც საქართველოში, ისე მის ფარგლებს გარეთ იმეორებს ჯვრის ხუროთმოძღვრებას, მაგრამ არ არსებობს უფრო ადრინდელი და სრულყოფილი ჯვრის ტიპის ტაძარი, ვიდრე მცხეთის ჯვარია. მცხეთის ჯვარი იუნესკოს მსოფლიო ხელოვნების საგანძურთა ნუსხაში შედის.

ᲡᲐᲛᲗᲐᲕᲠᲝ

სამთავროს მთავარსაეპისკოპოსო ტაძარი, 1811 წლიდან დედათა მონასტერი მდებარეობს სამთავროს ველზე, რომელიც ძვ.წ. IV-III ათას წლეულიდანაა ათვისებული ადამიანების მიერ. აქ მონაცვლეობით, რიგ შემთხვევაში კი ერთ და იმავე დროს, ფუნქციონირებდა, როგორც სამოსახლო, ასევე სამაროვანი. სწორედ ეს ადგილი შეარჩია მოციქულთასწორმა წმ.ნინომ სალოცავად. მემატიანე გვაუწყებს: “მაშინ წმინდამან ნინო ქალაქისა ზღუდის გარეგნით პოვა ქოჩი ერთი ბრწამი მაყულისა, სადა აწ არს საკურთხეველი ზემოსა ეკლესიისა, საეპისკოპოსო, და იგი შეიქმნა საყოფელად თვისად”. (ლეონტი მროველი). აქ ცხოვრობდა და მოღვაწეობდა წმ. ნინო სამი წლის განმავლობაში. სამეფო კარის მიერ ქრისტიანობის ოფიციალურ სახელმწიფო რელიგიად გამოცხადებისა და სვეტიცხოვლის აგების შემდეგ, მეფე მირიანის ბრძანებით “იწყეს ხუროთა შენებად ეკლესიისა... მაყუალთა მათ ზედა, საყოფელსა წმინდისა ნინოსსა, სადა აწ არს ეკლესია საეპისკოპოსო.” დღეისათვის არსებული კომპლექსი შეიცავს მცირე ეკლესიას, რომელიც მიჩნეულია წმ. ნინოს ეკლესიად; დიდ ტაძარს, რომელიც აგებულია XIს. I ნახევარში, XV-XVI სს. სამრეკლოს და გალავანს, რომლის ძველი ნაწილი კარიბჭითურთ, დიდი ტაძრის თანადროულია. დიდი ტაძარი ჯვარგუმბათოვანი ნაგებობაა (27 X 23 მ). მის ასაშენებლად გამოუყენებიათ მოყვითალო-მოყავისფრო კარგად გათლილი კვადრები. მთავარსაეპისკოპოსო ტაძრის საკურთხეველსა და გუმბათზე შემონახულია მოხატულობის ფრაგმენტები. სახელდობრ, გუმბათის ნახევარსფეროში შემორჩენილია ოვალურ წრეში ჩაწერილი მაცხოვრის გამოსახულება (სამწუხაროდ, ძლიერ დაზიანებული) და სახარებისეული სიუჟეტები.

ᲖᲔᲓᲐᲖᲔᲜᲘᲡ ᲛᲝᲜᲐᲡᲢᲔᲠᲘ



ქართული ხუროთმოძღვრების ერთ-ერთი უძველესი ნაგებობა - ზედაზნის მონასტერი მცხეთის ჩრდილო-აღმოსავლეთით, არაგვის მარცხენა ნაპირზე მდებარეობს. იგი VI საუკუნის 40-იან წლებში ასურელ მამა იოანეს დაუარსებია. სამონასტრო ნაგებობათაგან დღეისათვის შემორჩენილია ნათლისმცემლის სამნავიანი ბაზილიკა, რომელიც ააშენა კათოლიკოსმა კლემენტოსმა VIII საუკუნის დასასრულს (ადრინდელი დარბაზული ეკლესიის ადგილზე). გეგმით კვადრატული ბაზილიკის შუა ნავი ვიწრო და მაღალია, აღმოსავლეთით ნახევარწრიული აფსიდა აქვს, შესასვლელი სამხრეთიდანაა (დასავლეთის შესასვლელი გვიანდელია). სამხრეთისა და ჩრდილოეთის ნავები მთავარ ნავს აგურის თაღოვანი გასასვლელებით უკავშირდება. ჩრდილო ნავის აღმოსავლეთ ნაწილში მოქცეულია VI-VII საუკუნეების მიჯნაზე აგებული დარბაზული ეკლესია, რომლის გეგმით სწორკუთხა აფსიდა გადახურულია კონუსურ ტრომპებზე დაყრდნობილი ნალისებური კონქით. საკურთხეველი აქ ოთხი საფეხურითაა ამაღლებული. იოანე ზედაზნელის ქვის კუბო ერთი მესამედით საკურთხეველშია შეჭრილი. ჩრდილო ნავის დასავლეთ ნაწილში წყლის აუზია. სამხრეთის ნავი ორი ნაწილისაგან შედგება. ზედაზნის მონასტერი რამდენჯერმე შეკეთდა. 1970-1971 წლებში აქ ჩატარდა სარესტავრაციო და კეთილმოწყობის სამუშაოები.

ᲨᲘᲝᲛᲦᲕᲘᲛᲘᲡ ᲡᲐᲛᲝᲜᲐᲡᲢᲠᲝ ᲙᲝᲛᲞᲚᲔᲥᲡᲘ



ფეოდალური ხანის საქართველოს ერთ-ერთი თვალსაჩინო რელიგიურ-კულტურული ცენტრი, თბილისიდან 40 კმ-ზე, მცხეთის რაიონში, მდინარე მტკვრის მარცხენა ნაპირზე მდებარეობს. წყაროები იუწყებიან, რომ მონასტრი დაარსა ცამეტი ასურელი მამის - იოანე ზედაზნელის მოწაფემ, შიომ, მე-6 საუკუნის შუა წლებში. მამა შიოს თავისი სიცოცხლის უკანასკნელი წლები ბნელ, ღრმა მღვიმეში გაუტარებია, ხოლო გარდაცვლების შემდეგ, თანახმად ანდერძისა, იქვე დაუსაფლავებიათ. მისი საფლავი შიომღვიმეში წმინდა ადგილადაა შერაცხული. მე-11 საუკუნეში მღვიმეს ეკლესია დააშენეს, რომელიც მოგვიანებით იოანე ნათლისმცემლის ეკლესიას შეუერთდა. შიომღვიმის სამონასტრო კომპლექსში შედის: იოანე ნათლისმცემლის გუმბათოვანი ეკლესია, ზემო ეკლესია, სატრაპეზო და მონასტრის მახლობლად მდებარე სამლოცველო. იოანე ნათლისმცემლის სადა, მკაცრფორმიანი ეკლესია თითქმის მიწაშია ჩაფლული. იგი ქართული გუმბათოვანი ხუროთმოძღვრების ერთ-ერთი თვალსაჩინო ნიმუშია, აგებულია წმინდა მამა შიოს ინიციატივით, მე-6 საუკუნის 50-60-იან წლებში.

ᲬᲘᲚᲙᲐᲜᲘ

მე-4 საუკუნეში მეფე ბაქარმა,მირიანის ძემ, დააარსა წილკნის საეპისკოპოსო კათედრალი, რომელიც მცხეთიდან 15 კმ-ზე, სოფელ წილკანში მდებარეობს. კომპლექსში შედის ღვთისმშობლის ეკლესია და მე-8 საუკუნის ციხე-გალავანი. ეკლესიის ადგილზე ვახტანგ გორგასლის მეფობის დროს (მე-5 ს.) ააშენეს სამნავიანი ბაზილიკა, რომელიც მე-7 საუკუნეში გუმბათოვან ტაძრად გადააკეთეს, შემდგომში კი რამდენჯერმე განაახლეს. ტაძარი სხვადასხვა დროის სამ ნაგებობას აერთიანებს: დარბაზულ ეკლესიას (მე-4 ს-ის დასასრული), სამნავიან ბაზილიკას (მე-5- მე-8სს.) და გუმბათოვან ტაძარს. მე-19 საუკუნის დასასრულს ეკლესია შელესეს. ინტერიერში შემორჩენილია მოხატულობის ფრაგმენტები და ლაპიდარული წარწერები. მე-6 საუკუნეში წილკანში მოღვაწეობდა იესე წილკნელი, ერთ-ერთი ცამეტ ასურელ მამათაგანი. მას მიაწერს წილკნის სარწყავი არხის ”წილკნის რუს” მშენებლობას.

ᲐᲜᲐᲜᲣᲠᲘ



ანანურის ხუროთმოძღვრული ანსამბლი - საქართველოს გვიანდელი ხანის ერთ-ერთი საუკეთესო ხუროთმოძღვრული ძეგლია, რომელშიც თავმოყრილია საკულტო, სამხედრო და საერო ხასიათის ნაგებობები. ანსამბლის მთავარი ტაძრის სამხრეთ კედელში ჩატანებულ ქვაზე შესრულებული წარწერის მიხედვით ეკლესიის აგება 1689 წელს დაუმთავრებია მსაჯულთუხუცეს ბარძიმს. ქართული ორნამენტის შესანიშნავი ნიმუშებითაა მორთული ტაძრის ოთხივე ფასადი (შედარებით ნაკლებად - ჩრდილოეთი). 2004 წელს ჩატარებულმა საკონსერვაციო სამუშაოებმა ტაძრის ინტერიერში გამოავლინა კედლის მხატვრობის საინტერესო ნიმუშები. გვიან შუა საუკუნეებში ანანური წარმოადგენდა არაგვის ერისთავთა რეზიდენციას და საერისთავოს მთავარ საკვანძო პუნქტს, სადაც იკვეთებოდნენ, ერთის მხრივ, ჩრდილოეთიდან - თერგისა და არაგვის ხეობებით, მეორე მხრივ კი, ქართლიდან შემომავალი გზები.

ᲡᲜᲝᲡ ᲪᲘᲮᲔ



მდებარეობს თერგის მარჯვენა შენაკადის, მდინარე სნოს ნაპირზე. სოფელ სნოში, იგი აღმართულია საკმაოდ ძნელად მისადგომ კლდოვან ბორცვზე. ციხეს არტყია თითქმის წრიული გალავანი და მის შუაში პირამიდული ფორმის კოშკია აღმართული. მეცნიერთა ვარაუდით იგი დაახლოებით მე-16 - მე-17 საუკუნეთა მიჯნაზე უნდა იყოს აშენებული. სნოს ციხე წარმოადგენდა ამ ხეობის ჩამკეტს, საიდანაც გადადიოდა ძნელად სავალი, მაგრამ მოკლე გზები ხევსურეთში, ფშავში, მთიულეთში (გუდამაყრის ხეობით). ციხე ეკუთვნოდა საღუდუშაუროს ”აქა არს ციხე ღუდუშაურისმცირე, ამჟამად ფრიად მაგარი” /ვახუშტი /.

ᲒᲔᲠᲒᲔᲗᲘᲡ ᲡᲐᲛᲔᲑᲐ

გერგეთის ყოვლად წმინდა სამების ტაძარი, ქართული ხუროთმოძღვრების ეს გამორჩეულად შესანიშნავი ძეგლი, სტეფანწმინდისა და ხევის ეპარქიაში, დაბა სტეფანწმინდის ჩრდილოეთით, მდინარე თერგის შენაკადის - ჩხერის მარჯვენა ნაპირზე, მყინვარწვერის ფერხთით, ზღვის დონიდან 2200 მეტრზე, მთის მწვერვალზეა აღმართული. ძველი წყაროებისა და არქიტექტურული სტილის მიხედვით წმინდა სამება საქართველოს ეკლესიის აღმავლობის ხანაში, მე-14 საუკუნეშია, აგებული, როგორც სამონასტრო კომპლექსი. დღეს შემორჩენილია გალავნით შემოზღუდული ყოვლადწმინდა სამების გუმბათოვანი ეკლესია და სამრეკლო, რომელიც შედარებით გვიანდელი ნაგებობაა (მე-16 ს.). ტაძრის სამხრეთ ფასადზე მიშენებულია საბჭეო, ადგილი სადაც მთის უძველესი ტრადიციის თანახმად უმნიშვნელოვანესი გადაწყვეტილებების მისაღებად უხუცესთა საბჭო იკრიბებოდა.

ᲨᲐᲢᲘᲚᲘ

შატილი,ქართული სამშენებლო ხელოვნების ერთ-ერთი ბრწყინვალე,უნიკალური ძეგლია. კლდეზე შეფენილი სოფელი ერთდროულად საცხოვრებელიც იყო და ციხესიმაგრეც, იგი საუკუნეთა მანძილზე დარაჯობდა საქართველოს ჩრდილოეთ გადმოსასვლელებს (ამჟამად აღდგენილია). სოფლის კიდეებს მიუყვება ერთმანეთთან მიჯნით ნაგები ციხე-სახლების რიგი და იქმნება ერთიანი, მიუვალი დამცველი კედელი, რომელიც საიმედოდ კეტავს სოფელს. გარე სამყაროსთან შატილს არღუნის ხეობაში გამავალი ერთადერთი ვიწრო გზა აკავშირებს. შატილის განაშენიანება ტერასულია, შენობათა ძირითადი ტიპია ბრტყელსახურავიანი სახლი და კოშკური საცხოვრებელი. სოფელს შენობებს შორის მთელ სიმაღლეზე აუდის ვიწრო ქვის კიბე, აქა-იქ შემორჩენილია ძელებისაგან შეკრული ფიცარნაგები - გადასასვლელები, რომელთა მეშვეობით მტრის შემოსევის შემთხვევაში შესაძლებელი იყო მთელი სოფლის შემორბენა ქუჩაში გამოუსვლელად.

მცხეთა-მთიანეთი


რუსეთის ფედერაცია
კახეთი
შიდა-ქართლი
ქვემო-ქართლი
თბილისი
მცხეთა
დუშეთი
თიანეთი
სტეფანწმინდა
ახალგორი
ფასანაური
ჟინვალი
არხოტი
შატილი
ყაზბეგის ეროვნული პარკი
თბილისის ეროვნული პარკი
საგურამოს ქედი
კავკასიონის ქედი
ხევსურეთის ქედი
ჟამუშას ქედი
უსახი ფშავი
სიმაღლის შკალა მეტრებში
0-200
200-500
500-1000
1000-1500
1500-2000
2000-3000
3000-4000
4000-6000
ტურიზმის საინფორმაციო ცენტრი
ეროვნული პარკის ვიზიტორთა ცენტრი
სასტუმრო
მუზეუმი
პანორამული ხედი
ეკლესია
სალოცავი
სამარხი/აკლდამა
არქიტექტურულად მნიშვნელოვანი სოფელი
არქიტექტურული ანსამბლი
კლდეში ნაკვეთი ეკლესია-მონასტერი
ციხე-სიმაგრე
კოშკი
სათხილამურო ტრასა
სათევზაო ადგილი
სამთამსვლელო ადგილი
საცოცი კლდე
საფეხმავლო მარშრუტი
ფრინველებზე დაკვირვება
საცხენოსნო მარშრუტი
საჯომარდო ადგილი
ტბა
ჩანჩქერი
მინერალური წყლის ვოკლუზი
კანიონი
კარსტული მღვიმე
ტალახის ვულკანი
ტრავერტინი
ბუნების ძეგლი
აეროდრომი
საბაჟო
ნასოფლარი
პირობითი აღნიშვნები
დასახლებული პუნქტები
დედაქალაქი
ავტონომიის დედაქალაქი
სახელმწიფო მნიშვნელობის ქალაქი
სამხარეო ცენტრი
მუნიციპალიტეტის ცენტრი
საკრებულოს ცენტრი
სოფელი
კურორტი
საზღვრები
სახელმწიფოს
ავტონომიური რესპუბლიკის
რეგიონის
დროებითი ავტონომიური ოლქის
მუნიციპალიტეტის
დაცული ტერიტორიების
ოკუპირებული ზონა
მიწის საფარი
მყინვარები
ტბები და წყალსაცავები
მდინარე
საერთაშორისო და სახელმწიფო მნიშვნელობის გზები
ავტობანი
საერთაშორისო მაგისტრალი
სახელმწიფო მაგისტრალი
სახელმწიფო მაგისტრალი გრუნტის
ადგილობრივი მნიშვნელობის გზები
ასფალტირებული
გაუმჯობესებული გრუნტის
სასოფლო გრუნტის
სატყეო გრუნტის
საურმე და საცხენოსნო
საცალფეხო ბილიკი
რკინიგზები
ფართოლიანდაგიანი
ვიწროლიანდაგიანი
გვირაბში
სიმაღლის ნიშნულები
უღელტეხილი
მწვერვალი
10
0
10 km
1
2
3
4
5
6
A
B
C
D
E
F
44°24′0″
44°36′0″
44°48′0″
45°0′0″
45°12′0″
42°36′0″
42°24′0″
42°12′0″
42°0′0″
41°48′0″

ეკლესია-მონასტრები

აბანოს მონასტერი	A-1
ავენისის კომპლექსი	D-4
ანტიოქიის ტაძარი	E-3
აონის სალოცავი	C-5
არმაზის ეკლესია	E-3
არჩილის მონასტერი	E-4
ახალციხის ეკლესია	B-3
ახატანის ეკლესია	E-4
ბევრეთის მონასტერი	F-2
ბზიანის კომპლექსი	D-3
ბოდორნა	D-3
გარბანის ეკლესია	A-2
გარეჯის მონასტერი	C-5
გერგეტის სამება	A-3
დავათის კომპლექსი	E-4
დარიალის მონასტერი	A-3
ვანთების ეკლესია	E-2
ზარიძეების ეკლესია	D-4
ზედაზენის მონასტერი	E-3
ზემოუბნის წმ. გიორგი	D-4
თელოვანის ჯვარპატიოსანი	E-2
კოხის წვერი	D-4
ლომისას წმ. გიორგი	B-2
მამკოდის კომპლექსი	E-4
მაღაროსკარის ეკლესია	C-4
მაჩხანის ეკლესია	F-2
მზეწვერის წმ. გიორგი	C-3
მთავართას კომპლექსი	C-3
მჭადიჯვრის ეკლესია	D-2
ნაღვარევის ეკლესია	B-2
ჟალეთის ეკლესია	D-4
ჟებოტას ეკლესია	D-4
საგურამოს წმ. გიორგის ეკლესია	E-3
საკრამულის ეკლესია	D-3
სამთავროს მონასტერი	E-3
სვეტიცხოველი	E-3
სიონის კომპლექსი	A-2
სნოს ეკლესია	A-3
სხალტბის ეკლესია	E-3
ფუძნარის ეკლესია	D-4
ქვემო არტანის ეკლესია	C-4
ქოროღოს კომპლექსი	B-2
ყანობის ეკლესია	B-2
ყვარას ეკლესია	C-5
შიომღვიმის მონასტერი	E-3
ჩოხის წმ. გიორგი	B-3
ციხისძირის წმ. გიორგის ეკლესია	E-2
წეროვანის სამება	E-3
წილკანის ეკლესია	E-3
წკერეს ეკლესია	B-2
ჯვრის მონასტერი	E-3

მუზეუმები

დიდი მცხეთის მუზეუმ-ნაკრძალი	E-3
დუშეთის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი	D-3
ვაჟა-ფშაველას სახლ-მუზეუმი	C-4
თიანეთის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი	D-4
ილია ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმი	E-3
კორშას ეთნოგრაფიული მუზეუმი	B-4
მირზა გელოვანის სახლ-მუზეუმი თიანეთში	D-4
სტეფანწმინდის ისტორიული მუზეუმი	A-3
ძალისის მუზეუმ-ნაკრძალი	E-3

სხვა ობიექტები

აბანოს კოშკები	A-1
აბანოს მინერალური ტბა	A-1
აბუდელაურის ტბები	B-4
ადგილის დედა	B-4
ანანურის ანსამბლი	D-3
ანატორის აკლდამები	A-5
არშის ჩანჩქერები	A-2
არხოტის ჯვარი	A-4
ბეთლემის გამოქვაბული	A-2
ბეთლემის ქოხი	A-2
ბუჩუკურთას მთავარანგელოზის ჯვარი	B-4
გველეთის ჩანჩქერები	A-3
გორულის ჯვარი	B-3
გუდანის ჯვარი	B-4
გუდაური	B-2
დათვისის ღვთისმშობლის ეკლესია	B-4
დარიალის საბაჟო	A-3
ერისთავების სასახლე	D-2
ერწოს ციხე	D-4
ზაკაგორის ციხე-კომპლექსი	A-1
თრუსოს ტრავერტინი	B-2
თხინვალის სასახლე	F-3
იახსარის ხატი	B-4
კოდისწყაროს ციხე-დარბაზი	D-2
კოპალა	B-4
კოშკების კომპლექსი	B-2
ლაღი იახსარი	A-4
ლაშარის ჯვარი	C-5
მუხრანის ციხე-კომპლექსი	E-2
ნაბაკურის ანგელოზი	B-4
როშკის ლოდები	B-4
საღვთო მაღალი	B-3
სახიზარის კლდე	B-2
სუნტნი	B-2
ტანიეს ტბა	A-5
ფანშეტის კოშკები	A-3
ფუძის ანგელოზი	B-4
ღალანგურის წმ. გიორგი	B-3
ჩინთის კოშკი	D-3
ციციშვილების ციხე-დარბაზი	E-2
ცოდვიანი ტბა	C-5
წკერეს კანიონი	B-2
წკერეს კოშკი	B-2
ჭიეს მთავარანგელოზის ჯვარი	B-4
ჭილაშვილების ციხე-დარბაზი	D-3
ხადას სახიზრები	B-2
ხახაბო	B-5
ხახმატის ჯვარი	B-5
ხორისარის ლავური ნაკადი	A-1
ჯვრის ტრავერტინი	B-2

ციხე-სიმაგრეები

არდოტი	B-5
არმაზის ციხე	E-3
არმაზციხე (ბაგინეთი)	E-3
არშის ციხე	A-2
არხალის ციხე	D-4
ბებრის ციხე	E-3
ბოჭორმის ციხე	E-5
დავითურთ ციხე	C-3
დამასტეს ციხე	C-5
თამარის ციხე	A-3
თაღლაურას ციხე	C-4
კეტრისის კომპლექსი	B-2
კისტანის ციხე	B-5
მერეს ციხე	C-3
მოლამურის ციხე	D-4
მუცოს ციხე-კომპლექსი	A-6
ოჩანის ციხე	C-6
ჟინოვანის ციხე	D-3
სნოს ციხე	A-3
ქაჩუს ციხე	A-5
ქსნის ციხე	E-2
შატილის ციხე-კომპლექსი	A-5
ციხედიდი	E-3
ციხისძირის ციხე	D-3
ცხრაკარას ციხე-სიმაგრე	D-4
ხიმშიაშვილთა ციხე-გალავანი	D-3